პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 ივნისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 124 (822)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## კიდევ სამხედროთა მუშაობის შესახებ.

ჩვენს ნაწილებში სამხკორთა ქსელის გაფართოებისა და ამ დარგის მუშაობის თანდათანობითი გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხშირად იწერება წერილები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სამხკორთა შორის მუშაობასა და თვით სამხკორის მოვალეობაზედ.

ამ წერილებში მითითებული იყო თავის დროზე, იმ დეფექტებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ადგილებზე სამხკორთა შორის მუშაობის დროს.

მაგრამ, როგორც სჩანს, მუშაობის ამ დარგს ზოგიერთ ნაწილებში არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

რომ ბოლო მოღებოდა ყოველგვარ გაუგებრობას სამხკორთა მუშაობაში, რედაქციამ გამოსცა ქართულ ენაზე პატარა ბროშურა, სათაურად: „როგორ უნდა მოეწყოს სამხკორთა ორგანიზაცია და როგორ უნდა იმუშაოს სამხკორმა“, რომელიც უკვე მიღებული აქვთ ორივე დივიზიის ყველა ნაწილებს.

მოსალოდნელი, იყო რომ ამის შემდეგ, აღარ ექნებოდა ადგილი გაუგებრობას სამხკორთა მუშაობის სფეროში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ჩვენამდე მოსული ცნობების თანახმად, ამ დარგში, ზოგიერთ ჩვენს ნაწილში კიდევ აქვს ადგილი არა სასურველ მოვლენებს.

ერთ-ერთი კორესპონდენტი გვწერს, რომ მისი წერილის გაზეთის ფურცელზე დაბეჭვდისთანავე, წერილში „შეურაცყოფილ“ პიროვნებას დაუვალებია ყველასთვის, გაეგოთ სახელი და გვარი გაზეთში წერილის დამწერის, რომ სამაგიერო გადაეხადა ავტორისათვის, მხოლოთ არა გაზეთის საშუალებით.

ჩვენის აზრით ეს ნიშნავს სამხკორის დევნას ნაწილობრივ.

ასეთ მოვლენას შეიძლება სხვა ნაწილებშიდაც ჰქონდეს ადგილი, რომელსაც სჭირდება დაუყონებლივ ბრძოლის გამოცხადება და ძირიან-ფესვიანათ ამოფხვრა.

ვინ შესძლებს ამის შესრულებას და ვის ევალება ეს?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ნაწილების პარტ-ორგანიზაციებმა უნდა იკისრონ თავიანთი ნაწილების სამხკორთა მუშაობის ხელმძღვანელობა და ყოველგვარ გაუგებრობას ადგილებზევე უნდა მოუღონ ბოლო.

ამასთანავე ერთად ნაწილების სამხკორთა წრის პასუხის მგებელ ორგანიზატორებმა უნდა მისცენ სწორი გეზი სამხკორთა მუშაობას, მიღებულ დირექტივების თანახმად.

ამის შემდეგ, უთუოდ, მიექცევა ადგილებზე ამ დარგის მუშაობას ჯეროვანი ყურადღება, კარგათ შეისწავლიან ზემოხსენებულ ბროშურას, რომლის შემდეგ ადგილი აღარ ექნება ადგილებზე ასეთ გაუგებრობას და სამხკორთა დევნას.

## „ჩინეთის იანვარი.“.

შანხაის ამბების შესახებ იაპონიის რწმუნებულმა იოშიზავამ განაცხადა, რომ მთელი ეს მოძრაობა გამოწვეულია კომუნისტების მიერო.

ერთის მხრივ ეს დიდი პატივია ჩინეთის ნორჩი კომპარტიისთვის, მეორეს მხრივ ეს არის ცდები, რათა დაარწმუნონ ქვეყანა, რომ ყველაფერი ეს კომუნისტური აგიტაციის ბრალია და ამით მიაფუჩეჩონ მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

ასეთი მოძრაობა ხომ ჩინეთშიაც იყო სანამ იქ კომუნისტები გამოჩნდებოდნენ.

კერძოდ შანხაის ახლოვს ასეთი მოძრაობა 1748, 1853 წელში, გასული საუკუნის სამოციან წლების დასაწყისში და 1900 წელში ბოქსერების აჯანყების დროს.

მართალია დღევანდელ მოძრაობაში არის რაღაც ახალი და ეს ახალი ჩნდება იმ როლში, რომელსაც თამაშობს (დღევანდელ ეროვნულ მოძრაობაშიც კი) ჩინეთის ახალგაზრდა პროლეტარიატი.

საერთოდ ეს მოძრაობა რამოდენიმედ მოგვაგონებს ამბებს, რომლებიც მოხდა რუსეთში 1905 წლის იანვარ—ოქტომბერში, როცა მუშების წვრილ შეტაკებას კაპიტალისტებთან მოჰყვა ფართე სახალხო მოძრაობა, რომელმაც პირველი მძიმე ლახვარი ჩასცა მეფის თვითმპყრობელობას. იანვარს მოსდევს ოქტომბერი. მუშათა კლასს გარდა ამ მოძრაობაში ეშვება წვრილ ბურჟუაზიისა და ხალხის ფართე მასები, ხოლო შემდეგ მოძრაობაში შედის ისტორიის მძიმე ქვეითი ჯარი—მრავალმილიონიანი გლეხობა, რომელიც ფართე გაქანებას აძლევს რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამ ჟამად ჩინეთში სწარმოებს ბრძოლა არა კომუნიზმისათვის არამედ ეროვნულ განთავისუფლებისათვის.

მაგრამ ის გარემოება, რომ ასეთ პერიოდშიაც კი დიდ როლს თამაშობენ მუშები, თავდებია იმის, რომ ჩინეთის მშრომელი მასები შესძლებენ საკუთარი ინტერესების დაცვას როგორც უცხოელ მტაცებლებთან ბრძოლის ეპოქაში, ისე იმ ეპოქაშიაც, როცა მათ მოუხდებათ გამოსვლა საკუთარის პროგრამით თავისი სამშობლოს კაპიტალისა და მემამულეების ექსპლოატაციის წინაამდეგ.

# ახალი რადიო-ამბები

## მდგომარეობა ჩინეთში.

**შანხაიში გრძელდება საალყო წესები იწყება სასურსათო კრიზისი.-შესაძლებელია ჩინეთის პოლიცია მიემხროს მოძრაობას. საზოგადოებრივი აზრი მოძრაობის მხარეზეა.**

შანხაიში გრძელდება სამხედრო წესები. საწყობები და სასურსათო სავაჭროები დაკეტილია. იწყება -სასურსათო კრიზისი. მთავარი წერტები შეკრულია ევროპისა და ამერიკის პოლიციის მიერ, რომელთა შორის ბევრი თეთრგვარდიელებია.

ხმებია, რომ ზოგიერთი ჩინელი პოლიციელები თანაგრძნობით ეპყრობიან საპროტესტო მოძრაობას; დაპატიმრებულია რამოდენიმე მათგანი. შესაძლებელია ჩინეთის პოლიცია მიემხროს საერთო გაფიცვებს.

### სტუდენტთა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია.

ჩინეთში გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა ათიათასამდე კაცი. დემონსტრანტებმა გაუგზავნეს მთავრობას დელეგაცია მოთხოვნილებებით. დემონსტრანტები არ შეუშვეს საელჩოს ქუჩებში. დიპლომატიურ კვარტალს იცავს გაძლიერებული რაზმები.

### საზოგადოებრივი აზრი მოძრაობის მხარეზეა.

მთელი ჩინეთის გაზეთები მხარს უჭერენ საპროტესტო მოძრაობას. „ჩინბაო“ სწერს: „ინგლისი სცდება, თუ ფიქრობს, რომ მას შეუძლია ისე მოეპყრას ჩინელებს როგორც ინდოეთს, ეგვიპტეს და სხვა კოლონიებს.

ინგლისისა და იაპონიის ტელეგრაფის სააგენტოები სცდილობენ გაამართლონ მკვლელობა და ბრალს სდებენ სტუდენტებს მღელვარების გამოწვევაში. ისინი მალე მონათლავენ მათ ბოლშევიკების სახელწოდებით, რათა შეაშინონ უცხოელები, მაგრამ ისინი ბოლშევიკები კი არა—ჩინელი პატრიოტები არიან“.

ამერიკის ერთი გაზეთი ბრალს სდებს პოლიციას სროლის გახაღებაში უიარაღო ხალხის წინაამდეგ და ამბობს, რომ უცხოელებმა უნდა დაჰგმონ შანხაის უცხოელთა კვარტალის პოლიციის მოქმედებაო.

## გაზეთები შანხაის ამბების შესახებ.

არც ერთი ინგლისური გაზეთი არ უკეთებს განმარტებას შანხაის ამბებს, გარდა „მანჩესტერ გარდიენისა“, რომელიც სწერს:

„ეჭვი არაა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ძლიერდება სიძულვილი და აღშფოთება იმ უფლებების წინაამდეგ, რომლითაც სარგებლობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები შანხაიში.

შანხაის ამბები არ შეიძლება მიაწეროთ მხოლოდ ბოლშევიკურ აგიტაციას. საჭიროა დიდმა სახელმწიფოებმა დაარწმუნონ ჩინელები თავის კეთილ განზრახვებში.“

## გაუცრუვდათ იმედი.

2 ივნისს, ინგლისის კომპარტიის ყრილობის სხდომის დარბაზში შეიჭრა პოლიცია უცხოელ დელეგატების აღმოსაჩენად.

პოლიციის გამოჩენის დროს, ყველა ქალები წამოდგნენ ადგილიდან ინტერნაციონალის სიმღერით. პოლიციელებმა მოითხოვეს გვარების სია, მაგრამ დელეგატ ქალებმა უარი უთხრეს სიის მიცემაზე. პოლიციამ ამ რიგად ვერ გაიგო დამსწრეთა გვარები და ხელ-ცარიელი გაბრუნდა დარბაზიდან.

## კამათი გარანტიების გარშემო.

რეიტერის სააგენტოს ცნობით კამათი უზრუნველყოფის შესახებ წინანდებურად ზოგად პრინციპებს ეხება.

ინგლისის მთავრობა სცდილობს უზრუნველყოს დასავლეთ საზღვრების საქმე ახალი ომების თავიდან აშორების მიზნით.

## „განაპირა სახელმწიფოების დაცვა“.

### უბრალო თავის ქცევა.

იარაღით ვაჭრობის საკანტროლო კონფერენციაზე შეერთებული შტატების წარმომადგენელი ბერტონი განაპირა სახელმწიფოების დაცვის სპეციალ ზომების წინააღმდეგ წავიდა. კონფერენციამ მიიღო მაინც წესი, რომლის მიხედვითაც ფინეთს, ლატვიას, პოლონეთსა და რუმინეთს ენიჭება უფლება შეიტანონ სათანადო შესწორება, სანამ საბჭოთა კავშირი შეუერთდებოდეს ხელშეკრულებას.
ჩინეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლები გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მომხრეთ.

მხუთარი გაზებისა და მიკრობების ხმარების შესახებ, კონფერენციამ დაჰგმო ფორმალურად ქიმიური ომი და გამოსთქვა სურვილი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა, რომლის თანახმად არავის არ ექნება უფლება იხმარონ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური საშუალებანი ომის დროს.

## ჯალათები არ სცხრებიან.

ბულგარეთის სამხედრო მინისტრის განკარგულებით დააპატიმრეს სოფიის იარაღის საწყობის გამგე ბრაკალოვი. ბრაკალოვს ბრალს სდებენ თითქოს მას გადაეცეს იარაღები კომუნისტებისათვის.

## გული შეაჯერეს უკანასკნელად.

ბულგარეთის მთავრობამ, თანახმად ელჩთა კონფერენციის დადგენილებისა განკარგულება გასცა 10.000 მილიციონერის დემობილიზაციით გაშვების შესახებ.

დემობილიზაციის წინ მოხდენილ იქნა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება.

პოლიციის ცნობების მიხედვით დაპატიმრებულთა შორის იმყოფებიან კომუნისტები და გლეხთა კავშირის წევრები, რომელთაც დიდხანს ეძებდა პოლიცია.

## მუშების დევნა.

კარპატის მხარეში, სადგ. ბერეგოვოში შეტაკება მოხდა ერთის მხრივ აგურის ქარხნის გაფიცულ მუშებსა და მეორეს მხრივ სტრაჟნიკებსა და ჟანდარმერებს შორის, რომელნიც იცავდენ სამუშაოდ მოყვანილ შტრეიკბრეხერებს. სროლის დროს სტრაჟნიკებმა მოჰკლეს მუშა ქალი, დასჭრეს ერთ ერთი მუშა. გაფიცულებმა ქვებით დასჭრეს სამი სტრაჟნიკი და სამი ჟანდარმი. დააპატიმრეს 6 მუშა კომუნისტი.

## უდღეური გაზეთი.

3 ივნისს პარიზში გამოვიდა რუს ემიგრანტ თეთრგვარდიელთა გაზეთი „ვოზროჟდენიე“ (აღორძინება) პეტრე სტრუვეს რედაქტორობით.

გაზეთის პოლიტიკური პროგრამაა: სამშობლოს (ე. ი. რუსეთის) ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლება „კომუნისტური უღლისაგან“.

## ხელახალი ცდები.

ჰავასის სააგენტო იუწყება ბრიუსელიდან (ბელგია), რომ კათოლიკების ბელადი დასთანხმდა ახალი კაბინეტის შედგენაზე.

## ბომბის აფეთქება ორთქლმავალში.

სადგურ კალიშკაში, მატარებლის გასვლის დროს ორთქლმავალში აფეთქდა ბომბი.

მძიმედ დაიჭრა 17 წლის ყმაწვილი, რომელსაც ხელში ეჭირა ბომბი.

## ტუგუტის წერილი.

ამას წინად ტუგუტმა განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობა მფარველობდა პროვოკაციულ მოქმედებასო, რომლის გაბათილებასაც შეეცადა რატაისკი. ამის გამო ტუგუტმა გამოაქვეყნა გაზეთებში წერილი; წერილში ის აღნიშნავს ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია პროვოკატორ ტრაიანოვსკის გამოაშკარავებასა და ვეჩორკევიჩისა და ბაგინსკის მკვლელობასთან.

ტუგუტი დასძენს, რომ თუ მთავრობას სურს, მე მოვიყვან კიდევ მრავალ დაწვრილებითი ფაქტებს, რომელიც უკვე იცის მთავრობამო.

## „კრიტიკული“ მდგომარეობა.

კანტონიდან სახელმწიფო დეპარტამენტში მოსული ცნობების მიხედვით მდგომარეობა იქ „მეტად კრიტიკულია.“

შანხაიდან მოსული ცნობებით უცხოეთის კონსულები მოითხოვენ, რომ სამხედრო გემებიდან გადასხან 2.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი უცხოეთის მოქალაქეთა „ქონების დასაცავად“.

## ელჩთა კონფერენციის ნოტა.

ელჩთა კონფერენციის ნოტა გერმანიის განიარაღების შესახებ მიიღეს ბერლინში ანტანტის ელჩოებმა გერმანიის მთავრობისათვის გადასაცემად. ფიქრობენ, რომ ელჩები ნოტას კოლექტიურად გადასცემენ 4 ივნისს ლიუტერს.

## მორიგი ცილისწამება.

საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი უცხოეთის პრესის ერთი ნაწილი ავრცელებს პროვოკაციულ ცნობებს, რომ თითქოს სპარსეთის თურქმენების აჯანყება გამოწვეული ყოფილიყოს საბჭოთა მთავრობის, ან ადგილობრივ საბჭოთა ძალების მიერ.

როსტა აცხადებს, რომ ყველა ეს ცნობები აშკარა ცილისწამებაა და საბჭოთა მთავრობას სრულიად არავითარი კავშირი არ აქვს ამ აჯანყებასთან.

# საბჭოთა კავშირში

## თავადის სახლიდან--თეატრი გლეხთათვის.

სოფელ იყალთოს გლეხობამ თავის ძალებით გადააკეთა თეატრად საქართველოდან გაძევებულ თავად მაყაშვილის ნახევრად დანგრეული სახლი. თეატრი ამ დღეებში გაიხსნება.

## დიდმნიშვნელოვანი გამოგონება.

მუშებმა შარგოროდსკიმ და ვრედინმა (ადესის მუშებია) გამოიგონეს სწრაფლმბეჭდავი ტელეგრაფის აპარატი, რომელიც აგზავნის და ღებულობს წუთში 2.000 ნიშანს.

ტელეგრაფის მუშაკთაგან შემდგარმა კომისიამ ეს გამოგონება მეტად მნიშვნელოვნად სცნო.

## საგლეხო სესხის ტირაჟი.

31 მაისს და 1-ლ ივნისს მინსკის სატირაჟო კომისიამ გაითამაშა 1.800 მომგებიანი, 5-5 მანეთად ღირებული ბილეთი.

## შაქრის ლერწამი ციმბირში.

ვერხ-კუტუნსკის სოფელში გლეხმა კაზლოვმა მთელ რიგ ცდების შემდეგ შესძლო შაქრის ლერწამის მოშენება. შაქრის ლერწამი სიმაღლით უდრის 3-5 არშინს. ერთი დესეტინა იძლევა 396 ფუთ შაქრის სიროპსა და 337 ფუთს, საჭმელად სავარგის მარცვალს.

## ეკონომიური შპიონაჟის საქმე.

3 ივნისს დაიწყო ეკონომიური შპიონაჟისა და კონტრრევოლიუციის საქმე, რომელიც აღმოჩენილ იქნა დნეპრის ქარხანაში.

პასუხისგებაში მიცემულია 20 კაცი, უმეტესად ტეხნიკოსები, ინჟენერები და ბუჰღალტრები.

გამოწვეულია 19 მოწმე.

## მოსკოვიდან პეკინზე გადაფრენის შესახებ.

3 ივნისს ტროცკის სახელობის ჰაეროდრომზე მოხდა მოსკოვ-მონღოლეთ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიციის მონაწილეთა თათბირი.

თათბირზე გამომუშავებულ იქნა ინსტრუქციები მფრინავებისა და ბაზების უფროსთათვის და დამტკიცებულ იქნა საბოლოოდ გადაფრენის მარშრუტი. ექსპედიცია უნდა გაფრინდეს 10 ივნისს.

## უფლების ბოროტად გამოყენება.

ასტრიახან-ბაზარსკის საბჭოს თავმჯდომარემ (აზერბეიჯანში) თავის უფლებით ჩამოართვა სახლი ერთ ქალს და მიითვისა. მისი შვილი-რაიალმასკომის მდივანი ბეგრავდა გლეხობას, ხოლო ერთი მათგანი კიდეც ჩამოახრჩო, რომ ხელში ჩაეგდო მისი ცოლი.

გლეხობამ მიმართა ცენტრს თხოვნით მიიღოს სასწრაფო ზომები მსგავსი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

# სამხედრო საქმე.

## ლაშქრულ მოძრაობაზე შეჩვევა.

ზაფხულის პერიოდის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სასროლო მომზადების ამაღლება და ლაშქრულ მოძრაობაში მეომართა ჩაბმა.

ომის დროს ჯარები მომეტებულ დროს ლაშქრულ მოძრაობაში ატარებენ. რომ ასეთი მოძრაობა შესრულებულ იქნას გაუჭირვებლად (დაუღალავად), საჭიროა რაც შეიძლება მეტი ვარჯიშობა და პრაქტიკა სიარულში. გამომუშავებულ უნდა იქნას ერთგვარი ჩქარი ნაბიჯი და განვითარებულ იქნას სუნთქვა.

ჩვენი წესდების მიხედვით ნაბიჯით მოძრაობის სიჩქარე უდრის 115 ნაბიჯს წუთში, ხოლო ნაბიჯის ზომა—75 სანტიმეტრს.

მუდმივ პრაქტიკამ და ვარჯიშობამ სიარულში უნდა შეაჩვიოს მეომარი ამტანობას, რომ მას ლაშქრული მოძრაობის შემდეგ შეეძლოს საბრძოლო მოქმედებაზე გადასვლა. ლაშქრულ მოძრაობაში ჩათრევის პრაქტიკა უნდა სწარმოებდეს თანდათანობით ე. ი. ჯერ სწარმოებს მოძრაობა მოკლე მანძილზე მსუბუქ შეიარაღებით, შემდეგ ლაშქრული წესით გასავლელი მანძილი თანდათან დიდდება და დატვირთვაც თანდათან აღის დაწესებულ სიმძიმემდი (სრული სალაშქრო საჭურველი).

ამ მეცადინეობას განსაკუთრებული საათები არ ეთმობა. ამისათვის გამოყენებულ იქნება ის დრო, როცა სწარმოებს მინდვრად ტაქტიკური მოძრაობა, სროლა და სხვა.

გარდა ამისა საზაფხულო მეცადინეობის გეგმა ითვალისწინებს 3—4 დღით გასვლას მინდვრად, ბანაკის მიდამოებში; ამის მიზანია ჩააბას მეომრები ლაშქრულ მოძრაობაში, რომლის დროსაც წარმოებულ იქნება ტაქტიკური მეცადინეობა სხვა და სხვა მდებარეობის ადგილებში.

გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მსუბუქად სიარული შეიძლება, როცა მიდიხარ წინ ოდნავ წახრილი ტანით. ფეხი უნდა გაადგა წინ ოდნავ მოხრით ისე, რომ არ უნდა წაჰკრა უსწორ-მასწორ ადგილებს მიწაზე. ღამით სიარულის დროს ფეხი ცოტათი უფრო მაღლა უნდა ასწიო.

კარგად მოსადაგებელი იარაღი, საჭურველი და ფეხსაცმელი უმთავრესი პირობაა ნორმალური მოძრაობის საწარმოებლად. თუ ეს წესები დაცული არ იქნება, მაშინ ხშირად ექნება ადგილი მეომრის დაღლას და წყობილებიდან სრულიად ჩამორჩენასაც მოძრაობის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ ღამით მოძრაობა უფრო ღლის მეომრებს, ვინემ დღისით. მაგრამ მუდმივი მუშაობით შეიძლება შევაჩვიოთ მეომრები ღამით მოძრაობას ისე, რომ ისინი არ გრძნობდენ განსაკუთრებულ დაღლასა და სიძნელეს.

პ.

## მე-2-ე ქართულ დივიზიის პარტ-კომისიის მუშაობიდან.

(დასასრული)

ამ მუშაობის პროცესში პარტიაში წევრად გადაყვანის საქმე ცოტათ მოიისუსტებდა. სულ იქნა გადაყვანილი პარტიის წევრად 12 კაცი, ამათგან 5 მუშაა და 7 გლეხი. პარტიის წევრთა ზრდის უმთავრეს პროცენტს იძლეოდა პოლიტშემადგენლობა, რომლისგან გადაყვანილი იქნა პარტიის წევრად 8 კაცი, უფშემადგენლობიდან 2 კაცი და წითელ-არმიელებისგან—2 კაცი.

თვითეულ ამხანაგს, რომლებიც შემოდიოდნენ პარტიაში პარტკომისია დიდი ყურადღებას აქცევდა. 35 მსურველებს უარი ეთქა პარტიაში მიღებაზე, რომლისაგან გლეხების მიერ იქნა შემოტანილი 18 განცხადება და მოსამსახურეების მიერ—17. დამახასიათებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ არც ერთი განცხადება შემოტანილი მუშების მიერ პარტიაში მიღების შესახებ არ იქნა უარყოფილი. 74 პროც. უარყოფილი განცხადებისა იყო შემოტანილი უფ. და პოლიტშემადგენლობიდან და მხოლოდ 26 პროც.—წითელ-არმიელებისაგან.

განცხადებების უარყოფა ხდებოდა პოლიტიკურათ მოუმზადებლობის გამო; იყო აგრეთვე სხვა მიზეზებიც. მაგალ. ზოგს უარი ეთქვა იმისათვის რომ მათი პიროვნება ძირითად პარტორგანიზაციებს -კომუჯრედებს ჯერ კიდევ არ ქონდათ დეტალურად შესწავლილი, ზოგს მიეცა წინადადება შესულიყო ლენ. ახ. კომ. კავშირში და სხვა.

მთლიანად დივიზიის პარტიული ორგანიზაცია საღია, რაც სჩანს იქიდან, რომ დანაშაულობანი დაშვებული პარტიის წევრების მიერ ძალიან იშვიათი იყო და არ ქონდა ოდნავ მასიური ხასიათი; შეიძლება მხოლოდ კერძო შემთხვევების მითითება და არა მეტი.

სულ რვა თვის განმავლობაში იყო პასუხისგებაში მიცემული მთელ პარტ-ორგანიზაციის 4,6 პროც., მათგან მუშები—8 პროც., გლეხები—34 პროც. და მოსამსახურეები—58 პროც. მიუხედავათ იმისა, რომ სხვა სოციალურ ფენებთან შედარებით, მოსამსახურეები დივპარტორგანიზაციის შემადგენლობაში უმცირესობას წარმოადგენენ სულ 17,5 პროცენტს, დანაშაულობათა ჩადენის რაოდენობა მათ შორის ყველაზედ უფრო სჭარბობს.

როდესაც ჩვენ განვიხილავთ პასუხისგებაში მიცემულ პირთ კატეგორიის მიხედვით ჩვენს თვალ წინ შემდეგი სურათი იშლება.

| იქნა მიცემული პასუხისგებაში | 1924 წ. 1 ოქ-დან 25 წ. 1 იან-დე. | 1925 წ. 1 იანვრ. 1 მაისამ. |
|---|---|---|
| უფშემადგენლ. | 16 პროც. | 50 პრ. |
| პოლიტ-შემადგენ. | 68 პრო ც | 50 პრ. |
| წითელ-არმიელ. | 16 პროც. | — |

ე. ი. პასუხისგებაში მიცემულ უფშემადგენლობის პროცენტი გაიზარდა და ამავე დროს შემცირდა პასუხისგებაში მიცემულ პოლიტშემადგენლობის რიცხვი.

შემდეგი დასკვნა: მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაციის ზრდა განსაზღვრა წითელ-არმიელთა მასამ და უკანასკნელები უმრავლესობას წარმოადგენენ, **არც ერთი პარტიული რიგის წითელ-არმიელი 1925 წლის 1 მესამედში არ იქნა მიცემული პასუხისგებაში—ეს უკვე დიდი მიღწევაა.**

პარტიული დანაშაულობათა თვისების მიხედვით, პარტიის წევრები და კანდიდატები იყვნენ მიცემული პასუხისგებაში შემდეგი მიზეზების გამო:

ლოთობისთვის—43 პროც.
დისციპლინის დარღვევის—16 პროც.
თავის უფლებების გადაჭარბება—16 პროც.
დანარჩენი მიზეზების გამო—25 პროც.

მაშასადამე უმეტეს შემთხვევაში პასუხისგებაში იყვნენ მიცემული სიმთვრალისთვის და უფრო მეტად 1925 წ. პირველ მესამედში (65 პროც) ვიდრე 1924 წ. უკანასკნელ მესამედში (16 პროც.)-ამ გარემოებას უწევს ანგარიშს პარტკომისია და აგრეთვე უნდა გაუწიოს ანგარიში პარტიის ძირითად ორგანიზაციებმა.

პარტკომისია ისახავს თავის მუშაობის მიზნათ არა მარტო დამსჯელ მუშაობას, არამედ (და უმთავრესად) აღმზრდელობითი მუშაობას, რის გამო პარტიიდან გამორიცხულთა რიცხვი უმნიშვნელო არის და უდრის 1,5-პროც. მთელ პარტორგანიზაციის შემადგენლობასთან შეფარდებით. ნაწილობრივ ეს უნდა მიეწეროს აგრეთვე იმას, რომ პარტიის წევრთა მიერ ჩადენილი დანაშაული არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საჭირო ყოფილიყო უმაღლეს სასჯელის ე. ი. პარტიიდან განდევნის გამოყენება.

უმთავრეს შემთხვევებში რჩებოდა კიდევ იმედი ამა თუ იმ ამხანაგის გამოსწორებისა თავის დანაშაულის შეგნების შემდეგ. დანარჩენ შემთხვევებში იხმარებოდა განკიცხვის გამოცხადება, გაფრთხილება თანამდებობიდან მოხსნა და სხვა.

პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეში მიღწეულია დადებითი შედეგთა მთელი რიგი. საერთოდ პარტიის ზრდა უნდა ჩაითვალოს საღად. პარტორგანიზაცია იზრდება როგორც რიცხვობრ ვად ისე ხარისხით, იზრდება აგრეთვე პოლიტაქტივობა უმთავრესად რიგის წითელ არმიელებისა, რაც გამოიხატება მათი მხრივ პარტიისაკენ ლტოლვაში.

პარტიის კანდიდატების უმთავრესად რიგის წითელ-არმიელების აღზრდა და მათი პარტწევრად გადარიცხვა პარტკომისიის და საერთოდ დივიზიის მთელ პარტორგანიზაციისათვის ამ ჟამად ერთ პირველ ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს.

ი. რუდოვსკი.

# ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

**მე-6-ე ლეგიონის მე-3-ე ასეული.**

ღნიშნულ ლეგიონის მესა- ასეულმა პირნათლად შეას- ულა მასზე დაკისრებული მო- ალეობა. მან უკვე დიდი ხა- ია, რაც აღრიცხვაზე აიყვანა უშეთის მაზრაში მცხოვრები 898, 1899, 1900 და 1901 წ. დაბადებული მოქალაქე- ი, რომლებიც მიწერილნი იქ- ნენ ხსენებულ ასეულზე, რო- ორც ცვალებადი შემადგენ- ობის წ. მოლაშქრენი და მი- ცათ პირადი წიგნაკები.

აღრიცხვაზე აყვანის თანავე სწორით გამორკვეულ იქმნა ათი სოციალური მდგომარეო- ა, განათლება, პარტიულობა, როფესია და სხვა. სოციალურ დგომარეობის მიხედვით მთე- ი შემადგენლობის 95 პროც. ლეხებია, რომლებიც მისდე- ენ ხვნა-თესვას და ხეხილის ოშენებას. 3 პროც. მუშები, ოლო დანარჩენი 2 პროც. ოჯამაგირენი. განათლების მხ- ივ 52 პროც. წერა კითხვის რულიად უცოდინარნი არიან, რომელთა სიები გადაეგზავნა ამაზრო პოლიტ-განის გამგეს, რომელიც თანახმად ჩვენი პარ- ტიის ცენტრალური კომიტე- ტის განკარგულებისა ვალდე- ბულია ყველა სოფლებში, სა- დაც სცხოვრობენ ცვალებადი შემადგენლობის არმიელები გა- ხსნას სალიკვიდაციო პუნქტები და პირველ სექტემბრამდე მოა- ხდინოს მათ შორის წერა-კით- ხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია.

პირველ დღიდანვე მთავარი და განსაკუთრებული ყურად- ღება მიექცა ასეულის მიერ ცვალებადი შემადგენლობას- თან მჭიდრო კავშირის გაბმას, რათა თვითეულ მათგანს ეგრ- ძნო, რომ ის წ. მოლაშქრეა სრული ამ სიტყვის მნიშვნე- ლობით და არა თავისუფალი მოქალაქე. ამ მიზნის მისაღწე- ვად თვითეულ სოფლიდან, რომ- ლიდანაც მოწერილი იყვენ ცვა- ლებადი შემადგენლობის წ. მო- ლაშქრენი ასეულის ცვალებად- თა საერთო კრებაზე ამორჩე- ულ იქმნენ ოცის-თავები და მათი თანაშემწენი, რომელთაც მიეცათ სათანადო დირექტივე- ბი თუ როგორი კავშირი უნ- და დაიჭირონ ასეულის ძირი- თად შემადგენლობასთან, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამორჩეული ამხანაგების საშუა- ლებით შესაძლებელი შეიქმნა ასეულში ყოველგვარი სადღე- სასწაულო კამპანიების ცვალე- ბადელებთან ერთად ჩატარება. ესწრებოდა მთელი შემადგენ- ლობის არა ნაკლებ ორი მესა- მედისა.

გარდა ამ საშუალებისა კავ- შირის გასაღრმავებლად და ასე- ულის კომუჯრედის მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებ- ლად ის პარტ-ამხანაგები, რომ- ლებიც ახლო სცხოვრობენ ასე- ულის საცხოვრებელ ადგილ- თან სამაზრო პარტიულ კომი- ტეტთან შეთანხმებით მომაგრე- ბულ იქმნენ ასეულის უჯრედზე სამუშაოთ. უჯრედის პრეზი- დიუმის ერთ ერთ წევრად შე- ყვანილ იქმნა ცვალებადი შე- მადგენლობიდან ერთი პარტიის წევრი, რომელსაც აგრეთვე და- ვალებული ჰქონდა პარტ-მუშა- ობის წარმოება ცვალებად პა- რტ-ამხანაგებს შორის. ასეთი ზომების მიღების და შედეგების მიღწევის შემდეგ სრული იმე- დი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვე- ნი ასეულის ცვალებადი შემად- გენლობის წ. მოლაშქრენი პი- რველ დაძახებისთანავე უყოყ- მანოდ გამოცხადდებიან წ. ყა- ზარმაში და გულმოდგინეთ შე- უდგებიან სამხედრო და პოლი- ტიკურ ცოდნის შეთვისებას, რომელიც მათთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და რის შემდეგ უფრო გამტკიცე- ბულ იქმნება მათთან კავშირი.

სამხკორი ნ. ახათიანი.

# ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ.

**მეხუთე ლეგიონი.**

მეხუთე ლეგიონის მთელი შემადგენლობა დიდი სიხარუ- ლით, ემზადება ახალწვეულების მისაღებათ. ყაზარმები კარგა ხანია რაც შეკეთებული იქნენ. მოწესრიგდა ცეიხგაუზი, სამ- ზარეულო და სხვა წვრილმანები.

ერთია მხოლოდ. ყოველ დღე ველით, რომ მოვლენ და შეათეთრებენ ყაზარმის კედლებს ცარცით (სამისო დაპირება არის), მაგრამ აქამდე ეს ვერ შესრულებულა.

კარგი იქნება, რომ ამასაც მოგვისწრებდენ 10 ივლი- სამდე.

იმედია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას ვისაც ეს შეეხება და დაჩქარებით შეათეთრებენ ყაზარმის კე- დლებს.

წ. არმ. ცქიტიშვილი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲙᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ.

ბანაკში გადასვლის შემდეგ ჩვენი კლუბი კვლავ შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმიანობას. გასულ წელთან შედარებით თავისი საბანაკო საქმიანობით, წელს გაცილებით უფრო დიდ იმედებს იძლევა. კლუბი ლამაზად და მიმზიდველად არის მო- წყობილი. მთელი დარბაზი შეკეთებულია. შევიძინეთ ახალი დეკორაციები და სკამები. დარბაზი დაახლოებით იტევს ხუ- თასამდე კაცს.

დარბაზშივე მოწყობილია ეკრანი კინო-სურათებისთვის.

პირველი კინო სურათი ბანაკში ყოფნის დროს გაშვე- ბული იქნა 28 მაისს, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია არ- მიელებში.

სურათს ახალწვეულების უფრო გარკვევისათვის ახსნა განმარტება წაუძღვარა ამხ. თელიამ; ყაზარმულსა და საბა- ნაკო ცხოვრებისადმი გაუცნობელ ახალწვეულებზე წინასიტ- ყვაობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

სამხკორი მ. ოდიშარია.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

მზე ამოვიდა და უხვად მოჰ- ფინა თავისი სხივები არე-მარეს. სოფელმა გამოიღვიძა. გაისმა ხმაურობა. ყველა მიეშურება მინდორ-ტყეში სამუშაოდ. ის- მის შოლტის ტყლაშუნი და ურმების ჰრიალი. ბანაკიც ახ- მაურდა. კურსანტები წამოი- შალენ, მიეშურებიან პირის დასაბანად. იწყება სამუშაო დღე.

ყველა მხიარულია. ერთი კვი- რის განმავლობაში ბანაკად ყოფნამ უკვე დაასვა მათ თა- ვისი ნიშანი: ყველას მზე აქვს მოკიდებული და უფრო ჯან- მრთელად გამოიყურებიან, ვ- დრე თბილისში.

აი გათავდა ჩაიც. ბანაკში ვერავის ვერ ნახავთ, გარდა მორიგისა. ყველა მიეშურება ტყისკენ.

ლამაზი სანახავია ბანაკის ახლო მდებარე ტყე დღისით. მთელი მიდამო მოფენილია კურსანტებით.

აგერა განმარტოებით, ერთი კურსანტი ჩასჩერებია რაღაც წიგნს. ეს არის სკოლის შვი- ლობილი, პატარა მიშა, რო- მელიც კურსანტებმა იპოვნეს ქუჩაში და აიყვანეს აღსაზრ- დელათ. ეხლა ის უკვე დაია- რება კურსანტის ფორმაში, შეისწავლა წერა-კითხვა და უკვე ეტანება სერიოზულ წიგნებს.

აგერ სპორტი. კურსანტები ერთმანეთს ეჯიბრებიან გადახ- ტომაში, ტურნიკზე ვარჯიშო- ბაში, ბურთის სროლაში. პირ- ველობა ადგილიდან ხტომაში ჯერ-ჯერობით სკოლის უფრო- სის მხარეზეა.

— ბიჭი არ ვიყო, თუ არ ვაჯობო, იძახის ერთი კურსან- ტი და იძრობს ფეხებიდან მძიმე ჩექმებს, რომელიც უშ- ლის ხტომას.

ყველანი გაფაციცებით უყუ- რებენ; მოუთმენლად ელიან შედეგს. აი, ნახტომი გაზომეს და გამარჯვება წილად ხვდა კურსანტს.

მზე იწევს ზევით, ჩამოცხა, ჩრდილი შემოკლდა. კურსან- ტებმა იცვალეს ბინა და შეე- რივნენ ხშირ ტყეს, აღარ სჩა- ნან, მხოლოდ ისმის ბაასი და ხმამაღალი სიცილი.

ე. ხუციშვილი.

## ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲔᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ.

ქალაქ №-ში სომხეთის გაერთიანებულ სამხედრო სკო- ლის ბანაკის წინ მომავალ გზაზე აყრილი არის ხელახლად შესაკეთებლად პატარა ბოგირი, რომელიც ხელს უშლის მზიდავების მოძრაობას.

მე მოწამეთ გავხდი ერთი არა სასურველ მოვლენისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სწორედ ამ ადგილას. სოფლელებს მოყავდათ ურმები დატვირთული ხეებით და ქუჩაზე რომ აყ- რილი ბოგირი ნახეს, მიმართეს სომხეთის სკოლის მორიგეს გაეტარებინათ ურმები იმ გზით, საითაც უშვებდნენ სამხედ- რო მზიდავებს, მაგრამ სამწუხაროდ არ გაუშვეს და ყვირილით ეუბნებოდნენ არ შეიძლებაო. შემდეგ გავიგე, რომ გარნი- ზონის უფროსის მიერ ნებადართული ყოფილა, ბოგირის შე- კეთებამდის იმ გლეხების მიერ ნათხოვარი გზით ურმების გა- ტარება. გლეხებმა ბუტ-ბუტით გააბრუნეს ურმები უკანვე. მე მგონია ასეთი მოქცევა გლეხებისადმი გამოიწვევს არა სა- სურველ შედეგებს და რომ ეხლავე თავიდან ავიცილოთ ის, საჭიროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და ნუ იქ- ნება განმეორებული ასეთი საქციელი.

გამვლელი.

## ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲔᲠᲘᲗ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ.

**(პასუხად ამხ. მეჯუდას).**

გაზეთ „წითელ-არმიელი“-ს №122(820-ში მოთავსებულია ამხ. მეჯუდას წერილი „საჭი- როა ლიტერატურა სხვა და სხვა ენაზე“, სადაც ავტორი უსაყვედურებს 1-ლი ლეგიო- ნის ბიბლიოთეკას, თითქოს უკანასკნელი არ უწევდეს ან- გარიშს „სამნეო გუნდის, შე- მადგენლობას და არ აწვდი- დეს მათ სათანადო ლიტერა- ტურას.

მართალია სამნეო გუნდში არიან სხვა და სხვა ეროვნე- ბის წითელ-არმიელები, გერ- მანელები, სომხები და რუსები მაგრამ მათ ქართული ენა ყვე- ლამ კარგად იციან, გარდა ერთისა, რომლისთვისაც ბანა- კად გასვლამდე მუდამ იგ- ზავნებოდა რუსული გაზეთი, ხოლო ბანაკად გასვლის შემ- დეგ ზედმეტად ვიცანით ერთი კაცისათვის კუთხეში რუს. გა- ზეთის მოთავსება, რადგან ლეგ. სამკითხველო მრავალი ჟურნალ-გაზეთებით სულ რა- მოდენიმე ნაბიჯითაა დაშორე- ბული გუნდზე. წიგნები ქარ- თულ ენაზე ასეულში საკმაოდ არის. რუსული წიგნების კუთ- ხეზე გაცემა მაშინ როცა გუნ- დის ბიბლიოთეკარმა სრულიად არ იცის რუსული ენა და არ შეუძლია აღრიცხვის და ხელ- მძღვანელობის წარმოება, შეუ- ძლებელია. ასეც რომ არ იყოს ამხ. მეჯუდამ უნდა იცოდეს, რომ ბიბლიოთეკას 18-20 ნა- წილად უხდება წიგნების და გაზეთების განაწილება და იმ ნაწილების უმეტესობამ, რო- მელნიც ლეგიონთან არიან მოთავსებული ბიბლიოთეკით უნდა ისარგებლონ. ჩემი აზ- რით უკეთესი იქნებოდა მო- გეყვანათ უკმაყოფილო წი- თელ-არმიელები სამკითხვე- ლოში და მათთან ერთად გე- ნახათ, რომ იქ მრავალი ჟურ- ნალ გაზეთებია სხვა და სხვა ენებზე და მითი სარგებლობა შეიძლება ყოველ დროს.

ქ. ქავთარაძე.

## ᲓᲐᲒᲕᲘᲗᲛᲔᲗ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

**მეხუთე ლეგ. 3-მე ათასეული.**

(ადგილობრივი ხელისუფლების საყურადღებოთ.)

ხსენებული ლეგიონის მესამე ათასეულში გვყავს მშვე- ნივრად მომზადებული დრამატიული წრის წევრები, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არა გვაქვს საკუთარი კლუბი. სანამ წვევამდელებთან გვქონდა საქმე, ისინი გვეხმარებოდენ და საერთო ძალებით ადგილობრივ თეატრში ვმართავდით წი- თელ არმიელებისათვის წარმოდგენებს.

წვევამდელთა გაშვების შემდეგ ამის საშუალებაც მოგვე- სპო. ჩვენი ძალებით ვერარაფერს ვაკეთებთ; ადგილობრივ თეატრში კი უფასოთ არავინ უშვებს წითელ არმიელებს. ვერ ვიტყვით, რომ ამ საქმის მოუგვარებლობაში ბრალი არ მიუ- ძღოდეს აქაურ ხელისუფლებას, რაც მოითხოვს გამოსწორე-

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

**(მესამე ლეგიონი)**

**1. პარტ-მუშაობა.**

ჩვენი ნაწილის კომუჯრედის კრებები სისტემატიურად მიმ- დინარეობს თვეში ორჯერ.

კრებები ეწყობა როგორც დახურული, ისე ღია. უჯრე- დების მუშაობას ხელმძღვანე- ლობს ბიურო კოლექტივი.

ნაწილის უჯრედებს კავში- რი აქვს სამოქალაქო უჯრედე- ბთან როგორც ცოცხალი, ისე მიწერ-მოწერით. ხშირად ეწ- ყობა ურთიერთ შორის გაერ- თიანებული კრებები. საკითხე- ბის გარჩევის დროს წევრები ღებულობენ აქტიურ მონაწი- ლეობას. წითელ არმიელთა შორის არის ლტოლვა პარტია- ში შესასვლელად, რაც მიეწე- რება უჯრედის სწორ და ნა- ყოფიერ მუშაობას.

**ᲞᲝᲚᲘᲢ.-ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.**

ნაწილში სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტ-საათები, რომელიც ტარდება კომპლექ- სიური მეთოდით. შეთვისება კარგია, მიუხედავათ იმისა, რომ წითელ არმიელთა 65 პროც. წერა-კითხვის სუსტი მცოდნენი არიან.

პოლიტ-საათების კომპლექ- სიურათ გატარებას ხელს უშ- ლის თვალსაჩინოების უქონ- ლობა.

ნაწილში არის აგრეთვე პარტ- სკოლა, რომელიც დაყოფი- ლია ოთხ ჯგუფად და რომლის ხელმძღვანელებათ გამოყოფი- ლი არიან კარგათ მომზადებუ- ლი ამხანაგები.

უკანასკნელ ხანებში ნაწილ- ში გახსნილი იყო უფ-შემადგ- ენლობის სამეცადინო სემინა- რი, რომელსაც ხელმძღვანე- ლობდა ლეგიონის ექიმი ამხ. ხელაძე. ამ სემინარების მუშა- ობა ნაყოფიერად დამთავრდა და დიდი სარგებლობა მოუტა- ნა უფ-შემადგენლობას.

**კავშირი სოფელთან.**

ჩვენი ნაწილი დაკავშირებუ- ლია სოფ. წყალტუპოსთან, რო- მელსაც ვაწვდით ლიტერატუ- რას და ჟურნალ-გაზეთებს. უფ- პოლიტ-შემადგენლობამ თავი- ანთ სოფელს გარდა ამ საშე- ფო სოფელსაც გამოუწერა გა- ზეთები.

საბანაკოთ გასვლის შემდეგ, გამომუშავებულ გეგმაში აღნი- შნულია, რომ არ გასწყვიტონ კავშირი საშეფო სოფელთან.

**საკავშირო მუშაობა.**

საკავშირო მუშაობაც თავის დონეზე სდგას.

მომავალი მუშაობის გეგმა- ში აღნიშნულია, რომ ნაწილ- ში მოსული ახალწვეულები შესწავლილ იქნას ყოველ მხ- რივ, გააკეთებიოს მოხსენებები მათ თავიანთ სოფლის ყოფა- ცხოვრებაზე და სხ.

ასე ამ რიგად ნაწილის ყო- ველი დარგის მუშაობა დღითი დღე უმჯობესდება და დგება ნორმალურ პირობებში.

გ—ტი.

ბას. კარგი იქნება დაგვითმობდენ თეატრში რამოდენიმე ადგილს მაინც, რაც დიდი შეღავათი იქნება ათასეულისათვის.

სამხკორი ვარო.

## გაუგებრობას აქვს ადგილი.

გაზეთ წითელ არმიელის № 120 (818)-ში ამხ. სარკის მიერ მოთავსებული წერილი არ შეეფერება სიმართლეს.

ის სწერს: ლეგიონის საბანაკოდ გასვლის შემდეგ „ლენინის შვილს" მზრუნველობა მოაკლდა, ფეხშიშველი, ერთი წყვილი საცვლების ამარა ყაზარმაში დაიარება და სკოლაში ვერ მიდისო. ეს არ არის სიმართლე თუ ლეგ. ნაშვილები შუადღისას, როგორც სხვა წ. არმ. ცივი წყლით იგრილებს ფეხებს და ისე დაიარება ყაზარმაში ეს არ არის გასაკვირი, ხოლო ყაზარმის გარეთ, როგორც სხვა წითელ არმიელები—რიგიანად ჩაცმულ-დახურული დაიარება.

რაც შეეხება იმას, რომ ერთი წყვილი საცვლების ამარა დაიარებაო, არც ეს არის სწორი რადგან, ერთის გარდა მას მეორეც აქვს.

შემდეგ მართალია ერთ ხანს ბავშვი არ დაიარებოდა სკოლაში, მაგრამ ამის მიზეზი იყო მისი ავათმყოფობა და სხვა არაფერი.

გირჩევ ამხ. სარკეე ჩაუკვირდე საქმის ნამდვილ ვითარებას და შემდეგ დასწეროთ წერილი.

დ. ზეფრაშვილი.

## ახალი ამბები.

**ჩვენი ანგარიშები ინტერვენციისათვის** ინტერვენციისაგან მიყენებულ ზარალის გამომრკვევ კომისიის წინადადებით ა. კ. რესპუბლიკებში შესდგა სარესპუბლიკო კომისიები ფინსახკომის რწმუნებულთა, შინაგან საქმ. კომისარიატებისა და საგანგებო კომისიების წარმომადგენელთაგან.

**აღნიშნული კომისიები** ადგილებზე უკვე შეუდგნენ სათანადო მუშაობას. კომისიები აგროვებენ ცნობებს ინტერვენციის მიერ მცხოვრებთათვის მიყენებულ დაზარალების შესახებ. აღნიშნული ცნობებიდან შედგენილი ანგარიშები წარდგენილი იქნება ს. ს. რ. კ. საერთო კონტრ-პრეტენზიებთან ერთად.

— **წითელი არმიისა და ფლოტის** სახლთან 15 ივნისიდან გაიხსნება სკოლის გარეშე მუშაკთა მოსამზადებელ-გადასამზადებელი მოკლე ვადიანი კურსები.

— **ქართული ნაწილების ცვალებად** შემადგენლობისათვის წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში ივნისის შუა რიცხვებიდან გაიხსნება განსაკუთრებული კუთხე.

— **ხანძრის წინააღმდეგ.** შინაგან სახ. საგ. კომისარ. და მიწ. მოქმ. კომისარიატმა გამოიმუშავეს სახელმძღვანელო დებულება ტყის ხანძართან საბრძოლველად.

— **დოლი.** მიწ.-მოქმ. კომისარიატის დადგენილებით 7 ივნისს დაიხურება ტფილისში, დოლი.

— **აბრეშუმის წარმოებაში** ჩვენში ჩაბმულია ხ. 388 კომლი, ანუ ექვსი ათასზე მეტი შინა მრეწველი.

— **გლეხკომებისათვის.** იბეჭდება და ახლო ხანში ყველა მაზრებში დაიგზავნება გლეხკომების საწევრო წიგნაკები.

— **მეფუტკრეობის** ასალორძინებლად და ფუტკრის მავნეებთან ბრძოლის მიზნით მეფუტკრეობის ბიურომ გადასდო 3.750 მან.

— **შეღავათი შრომის კოლექტივებს.** შრომის ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ტფილ. აღმასკომის წინაშე, რომ შრომის კოლექტივების მიერ დაჭერილ დარაბებზე შეუმცირდეთ ქირა ერთი მეოთხედით.

— **ექიმების შტატი.** დამზღვევმა კასამ გადასწყვიტა გაადიდოს ექიმ-კანტროლიორთა შტატი.

## ამიერკავკასიის ცაკში.

— **დასაზღვევი ტარიფი.** ამ.-კავკ. ცაკმა მიიღო დადგენილების პროექტი სოც. დაზღვევის ტარიფის შესახებ.

— **აღმშენებლობის მიზნით.** ქალ. შემახის მცხოვრებლებს ა. კ. ცაკის დადგენილებით მიენიჭათ შეღავათები გადასახადებში.

— **საკავშირო უზენაესი** სასამართლოს მორიგი პლენუმის მოწვევა ა. კ. ცაკმა საჭიროდ სცნო ტფილისში.

— **ლენინის ნაწარმოებთა** გამოსაცემათ საკავშირო ცაკის მიერ გადადებული 15 ათასი მანეთი ა. კ. ცაკმა გაანაწილა საქართველოს, სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის.

— **სამხედრო კომისარიატების რეორგანიზაცია.** ამ.-კავკ. ცაკმა წინადადება მისცა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ცაკებს, სამხედრო კომისარიატების ტერიტორიალურ ნაწილების სამართველოთ გადაკეთების შესახებ.

**ს. ს. რ. კ. ცაკის ამნისტიის გასატარებლათ.**

ს. ს. რ. კ. ცაკის მესამე სესიის მიერ გამოქვეყნებულ ამნისტიის ცხოვრებაში გასატარებლათ ა. კ. ცაკმა დაადგინა, რომ შეღავათები შეეხებოდეს:

1) ყველა იმ გლეხებს, რომელნიც ეწევიან მიწის დამუშავებას.

2) ყველა იმ მუშებს, რომლებიც მუშაობენ ფაბრიკებში, ქარხნებში და საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში და წარმოებებში.

## საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

— **საკოლონიზაციო (საახალშენო) კომიტეტი.** დამტკიცებულ იქნა საქართ. საგეგმო კომისიის გამომუშავებული გეგმა საკავშირო ცენტრ. აღმასკომთან საახალშენო ცენტრ. კომიტეტის დაარსების შესახებ.

— **გეოლოგიური ინსტიტუტი.** ცნობილ იქნა საჭიროდ საქ. განათლების კომისარიატთან გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსება.

— **გზატკეცილების გეგმა.** დამტკიცებულ იქნა 5 წლიანი გეგმა, წარმოდგენილი საქ. საგეგმო კომისიის მიერ საგზატკეცილო მშენებლობის შესახებ.

— **ტფილისის მაზრისათვის** სათესლე მასალის შესაძენათ გადადებულ იქნა უმ. ეკ. საბჭოს მიერ, 7 ათასი მანეთი.

— **არტელი „შენება".** დამტკიცებულ იქნა მშენებელთა არტელი „შენება"-ს წესდება.

— **მინერალური წყლები.** წინადადება მიეცა საკურორტო სამმართველოს მოახდინოს სოფ. ჯავის მინერალურ წყლების გამოკვლევა იქ კურორტის მოწყობის მიზნით.

## მეცნიერება და ტექნიკა

**ტეხნიკა მეცნიერული ცოდნის შეძენის სამსახურში.**

ქირურგ სტუდენტ ექიმებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ისინი ესწრებიან გამოჩენილი ქირურგისაგან გაკეთებულ აპერაციებს ავადმყოფებზე. ეს ერთად ერთი საშვალებაა, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ აპერაციის გაკეთება. ცოცხალ ადამიანზე ვერ ისწავლიან დამოუკიდებლად, ხოლო მკვდარი გვამები კი, რომლებზე მუშაობითაც იღებენ პრაქტიკას სტუდენტები, ვერ იძლევა საკმაო ცოდნას.

გამოჩენილი ქირურგის მუშაობაზე ყურებით, სტუდენტები ადვილად ითვისებენ საპერაციო წესებს და შემდეგ ადვილად იყენებენ მათ თავის პრაქტიკაში.

მაგრამ მთელი უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ აპერაციების დროს ყოველთვის ბუარება სტუდენტები გროვდებიან და აქედან ცხადია მხოლოდ ის იძენს რაიმეს, რომელიც წინ სდგას. უკანინი კი ვერაფერს ხედავენ.

ამას გარდა ექიმსაც ხელი ეშლება ამდენი ხალხის გარშემო შამოხვევით. რომ თავიდან აეცილებიათ ეს უხერხულობა მოიგონეს შემდეგი: სააპერაციო მაგიდის ზევით ჰკიდებენ დიდი მოცულობის ეკრანსარკეს, ხოლო თითონ მაგიდა და მასზე მწოლარე ავადმყოფი განათებული არიან ელექტრო სანათურ-პროექტორებით. ყველაფერი ის რაც სწარმოებს სააპერაციო მაგიდაზე მოსჩანს ეკრან სარკეზე, ხოლო აქედან მეორე ეკრანაზე, რომელიც მოთავსებულია სააპერაციო ოთახის მეორე გვერდით. ამნაირად რამდენი სტუდენტებიც არ უნდა დაესწრონ აპერაციას, ყველას ეძლევა საშვალება თავისუფლად ადევნოს თვალი სააპერაციო მაგიდაზე ქირურგის მიერ წარმოებულ მუშაობას.

ეკრანის გარდა სააპერაციო მაგიდასთან თავსდება მიკროფონი, ხოლო იმ ოთახში სადაც თავსდებიან პრაქტიკანტი სტუდენტები—ხმა მაღლა მოლაპარაკე რუპორით. ამნაირად სტუდენტები გარდა იმისა, რომ ყველაფერს უყურებენ მეორე ოთახიდან იქიდანვე შეუძლიათ მოისმინონ პროფესორის ახსნა განმარტებანი აპერაციის შესახებ.

**მოძრავი ქვაფენილები.**

თანამედროვე ცხოვრება შეუჩერებლად მიექანება წინ. ყველას რაღაც ეჩქარება, ყველა სადღაც მიისწრაფვის. ყველას სურს რაც შეიძლება ჩქარა გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე. სხვა და სხვა გადასაყვანი საშვალებანი (ტრამვაი, ავტობუსები, მეტროპოლიტენები) ვეღარ აკმაყოფილებენ საქმიან ბრბოს. 1900 წლიდან უცხოეთში შამოიღეს ხმარებაში მოძრავი კიბეები და ქვაფენილები, რომელთა შესახებ შემდეგ გვექნება დაწვრილებითი საუბარი.

## ბიბლიოგრაფია.

გამოვიდა ახალი წიგნი „**მე-2-რე ქ. დ. პოლიტ-განყოფილების ბიულეტენი № 4.**" **1925 წ. მაისი. ტირაჟი 500.**

ბიულეტენში მოთავსებულია ინსტრუქციეები რკპ (ბ) უჯრედებისა წითელ ჯარში და ფლოტში და რეზოლიუციები უჯრედების მდივნების გაერთიანებულ პლენუმისა და კავკასიის წითელ დროშოვან არმიის საავიტ-პროპაგანდო მომუშავეთა. ბიულეტენის დანიშნულება ხელმძღვანელობა გაუწიოს წითელ ჯარის პარტუჯრედების მუშაკებს. აქ განმარტებულია თუ როგორ უნდა მოეწყოს პარტუჯრედები სამხედრო ნაწილების სხვა და სხვა ერთეულებში, სახელდობრ ასეულის და ლეგიონის ფარგლებში. განსაზღვრულია ცალკე ასეულის უჯრედისა და ცალკე ლეგ. კოლექტივის ფუნქციები, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, მათი დამოკიდებულება უფ. პოლიტ- მეთაურ- ადმინისტრატიულ შემადგენლობასთან,—ადგილობრივ პარტ. ორგანიზაციებთან და სხვა... რეზოლიუციებში კი ეხება პარტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვა და სხვა სახეებს წითელი ჯა[...] რიგებში. წითელ ჯარში არ[...] ბულ თითქმის ყოველგვარ ო[...] განიზაციების და წრეების ხ[...] მძღვანელთ შეუძლიათ იპოვ[...] აქ თავის მუშაობის დარგში [...] მოსადეგი რჩევა-დარიგებანი.

წიგნი არ სტოვებს აგრეთ[...] უყურადღებოთ წით. არმია[...] სამხედრო დისციპლინის გა[...] მტკიცების საკითხს და პარტუ[...] რედების როლს ამ მხრივ.

ამ გვარად წიგნის დანიშ[...] ლება ძალიან დიდია და დი[...] სარკებლობის მოტანაც შე[...] ლია ჩვენი წითელი ჯარის [...] რტუჯრედების ხელმძღვანე[...] თათვის. წიგნი მოზრდილი ფო[...] მატისაა და შეიცავს 119 გვერ[...] გამოცემა დამაკმაყოფილებელ[...] მხოლო მისი გაგება მოითხო[...] თეორიულად მომზადებულ მკ[...] თხველს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. შემთხვევით შესულს.** თქვენი წერილი მთვრალი წ[...] თელ არმიელების საქციელის შესახებ გადაეცა მესა[...] ლეგიონის თავს.

**ამხ. ი. ჰყონიას.** შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ბაშელს.** თქვენი წერილი „საჭირო ცუდი საქციელ[...] გამოსწორება" გამოდგება კედლის გაზეთში.

**ცხენოსან ლეგიონისა და მეორე ლეგ. სამხკორებს:** თქვე[...] ნი ნაწილების საქმიანობისა და საერთოდ ყოფა ცხო[...] რებაზე კარგა ხანია არაფერი მიგვიღია. რას უნდა მი[...] წეროს ასეთი არა სასურველი მოვლენა? ასეთი გულ[...] რილობა არ გეპატიებათ. წაიკითხეთ ჩვენი გაზეთი [...] აიღეთ მაგალითი სხვა ნაწილების სამხკორთა მუშაობი[...] დან.

დრ. რედაქტორი მ. სიმონგულოვი.


## განცხადებები

**1-ლი და მე-2-ე ქართულ დივიზიების მეთაურთა და პოლიტ-ხელთა საყურადღებოთ.**

ქ. ტფილისში გახსნილია ცენტრალურ სამხედრო გაზეთის „**კრასნაია ზვეზდა**"-ს გამომცემლობის ამიერკავკასიის განყოფილება.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ სამხედრო გაზეთ „**კრასნაია ზვეზდა**"-ზე და სამხედრო პოლიტიკურ ჟურნალ „**სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა**"-ზე. („პოლიტ-მომუშავის თანამგზავრი")

**ხელის მოწერის ფასი**

„კრასნაია ზვეზდა" 1——თვეში ——1 მანეთი
3— ———2„ 90 კაპ.

„სპუტნიკ პოლიტრაბოტნიკა"
1————80 კაპ.
3————2 მან 30 კაპ.

განყოფილებასთან გახსნილია აგრეთვე სპეციალური სამხედრო წიგნების მაღაზია.

ყოველდღიური მიღება ახალი წიგნების ყველა საკითხებზე. სამხედრო ნაწილებს ეძლევათ შეღავათი და ნისიად.

მისამართი: ქ. ტფილისი, თავისუფლების (ყოფ. ერევნის) მოედანი № 3.


**ტფილისის გარნიზონის ყველა პარტორგანიზაციებს.**

ხუთშაბათს 5 ივნისს წითელი არმიისა და ფლოტის ბაღ[...] ში (თეატრში) (პლეხანოვის გამზირი № 73) მოხდება რკ[...] (ბ) წევრებისა და კანდიდატების საერთო საორგანიზაციო

## კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხ. რ ა ტ ნ ე კ ი ს მოხსენება მე-14 პარტკო[...] ნფერენციის მუშაობის ჯამის შესახებ.

პოლიტსეკრეტარიატის უფროსი დვორიანოვი.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.